დასახელება: **შპს "ქრომოსი"**
სფერო: **მოლეკულურ-გენეტიკური კვლევები**
მისამართი: **ქ. თბილისი, ბელიაშვილის 76.**

კომპანიის პოლიტიკა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელშიც აღნიშნულია კომპანიის საქმიანობის სფერო, ფუნქციონირეობისა და მისი საქმიანობის ხარისხიანად შესრულების უზრუნველყოფის ფაქტორები.

აღნიშნული დოკუმენტის შედგენა ხდება მენეჯმენტის შეხვედრის საფუძველზე და მას ამტკიცებს კომპანიის დირექტორი.

შპს "ქრომოსი" ფუნქციონირებს მოლეკულურ-გენეტიკური კვლევების მიმართულბით, რაც მიზნად ისახავს, თანამედროვე გენეტიკური გადაწყვეტილებების შეთავაზებას, დაავადებათა პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ადეკვატური მეთოდების განსაზღვრისათვის. ასევე, კვლევის შედეგად განსაზღვრული გენეტიკური დაავადებების პროგნოზირება შეიძლება გამოყენებულ იქნას ხელოვნური განაყოფიერებისას ემბრიონის საშვილოსნოში გადატანის გადაწყვეტილების მიღების საფუძვლად.

რეპროდუქციული მიმართულებით ჩატარებული გენეტიკური კვლევების მიზნობრიობას წარმოადგენს შესაბამისი ბიოლოგიური მასალის კვლევა გენეტიკურ პათოლოგიებზე, დამდგარი ან ორსულობის დადგომამდე ან ორსულობის დანაკარგის შემდგომ, რათა არ მოხდეს გენეტიკური პათოლოგიის მქონე ნაყოფის ჩასახვა, დაბადება და/ან თავიდან იქნას აცილებული განმეორებითი შემთხვევის რისკი.

რაც შეეხება ონკოლოგიური კვლევების მიმართულებას, მისი მიზანია, დაეხმაროს სამედიცინო პერსონალს პაციენტისთვის მიზნობრივი თერაპიის შერჩევაში.

ასევე, ლაბორატორია მუშაობს სხვადასხვა გენეტიკური დაავადებების მტარებლობის განსაზღვრისა და პროგნოზირების მიმართულებით.

შპს „ქრომოსის“ პოლიტიკა ეფუძნება საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებისა და მოთხოვნების, ასევე, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად საქმიანობის განხორციელებას.

იქიდან გამომდინარე, რომ საქმიანობა წარმოადგენს მაღალი რისკის შემცველ სამედიცინო საქმიანობას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლაბორატორიის პერსონალის შრომის უსაფრთხოების დაცვას, რაზეც პასუხისმგებელია თითოეული თანამშრომელი, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ არის ჩართული სამუშაო პროცესში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

კომპანიის პოლიტიკა პირდაპირ არის მიმართული განახორციელოს ყველა საჭირო ქმედება, რათა შეძლოს მოთხოვნის შესაბამისი ხარისხის დაცვა და მიწოდება, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კვლევები და შემდგომ, დოკუმენტაციის გაცემა პაციენტის უფლებების ყველა ნორმის დაცვით.

შპს „ქრომოსი“, ზემოთ აღნიშნულის წარმატებით განხორციელების მიზნით, წინასწარ დადგენილი

პერიოდულობით ახდენს შემდეგი პროცესების მონტორინგს, რაც პირდაპირ აისახება საქმიანობის ხარისხზე:

● საკანონმდებლო ბაზის პერიოდული მიმოხილვა;

● შიგა აუდიტის ჩატარება;

● როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდზე გათვალისწინებით, რისკების შეფასება და მათი თავიდან აცილების კონსტრუქციული ქმედებების განხორციელება ან გეგმის დასახვა;

● თანამშრომელთა სწავლებისა და შეფასების სისტემის მონიტორინგი;

● ტექნიკური ბაზის, რაც მოიცავს გამზომ ხელსაწყოებსა და დანადგარებს, მათი დროული დაკალიბრება და სრული მიზნობრივი ტექნიკური მხარდაჭერა;

● შიგა და გარე ლაბორატორიული კონტროლი;

● კომპანიის ყველა სამუშაო პროცესის მუდმივი კოტროლი და ზედამხედველობა;

● საჩივრებზე რეაგირება, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

● გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, შპს „ქრომოსი“ ახდენს იმ პროცესების მონიტორინგსა და მათზე რეაგირებას, რომლებიც ირიბად მოქმედებს კომპანიის ხარისხსა და რეპუტაციაზე;

● გარდა ხარისხისა, კომპანია არის პაციენტზე ორიენტირებული დაწესებულება და იგი ვალდებულია, დადგენილი პერიოდულობით განახორციელოს მომხმარებელთა კმაყოფილების შეფასება;

● პაციენტის პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგი;

● ასევე, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენს „მომწოდებელი“, რომლის შეფასებაც ასევე ხდება შესაბამისი პროცედურის თანახმად.

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანია ვალდებულია განახორციელოს:

● საკანონმდებლო და სტანდარტის - ISO 15189-2015 „სამედიცინო ლაბორატორიები - მოთხოვნები ხარისხსა და კომპეტენციაზე“ მოთხოვნების სრული დაცვა;

● ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის უწყვეტი გაუმჯობესება, ყველა პროცესის გაუმჯობესების ჩათვლით;

● შპს „ქრომოსის“ მიერ ჩატარებული კვლევის ხარისხისა და სანდოობის უზრუნველყოფა;

● საკანონმდებლო და კომპანიის შიდა მოთხოვნებთან შესაბამისობა, ასევე, ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის უწყვეტი გაუმჯობესება;

● ლაბორატორიის პერსონალის კომპეტენციისა და პროფესიონალური გადამზადების სესტემატიური ზრდა.

დასახული მიზნების მიღწევის გზები:

● უმაღლესი ხელმძღვანელობის ჩართულობა ხარისხის მართვის სისტემის მხარდაჭერაში;

● ISO 15189-2015 სტანდარტის მოთხოვნების შემუშავება, დანერგვა, აკრედიტაცია და სისმტემის მუდმივი მხარდაჭერა;

● რისკების მართვის პროცესების უზრუნველყოფა;

● კლიენტთა კმაყოფილების კვლევა და ანალიზი;

● თანამშრომელთა კომპეტენტციის ამაღლება;

● ლაბორატორიათაშორის კვლევებში მონაწილეობა;

● ხელსაყრელი და უსაფრთხო სამუშაო პირობების უზრუნველყოფა;

შპს "ქრომოსის"ხელმძღვანელობა იღებს ვალდებულებას კომპანიის პოლიტიკის შესრულებაზე და პროცესების ეფექტურ განხორციელებაზე, საკანონმდებლო მოთხოვნებისა და საერთაშორისო სტანდარტის ISO 15189-2015 მოთხოვნების შესაბამისად „სამედიცინო ლაბორატორიები - მოთხოვნები ხარისხსა და კომპეტენციაზე“.

ვამტკიცებ, კომპანიის დირექტორი: ნანა შატბერაშვილი